

სკოლა - ლაბი

ახალი საშუალო  
სკოლის მოდელი

2019

სტატია მომზადებულია კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის „სკოლა-ლაბის“ პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია, სკოლის ორგანიზაციული განვითარებისა და ცვლილებების შესახებ ცოდნის კონსოლოდაცია , ახალი ცოდნის გენერირება და შერჩეული მიდგომების პილოტირება.

ავტორი: მიხეილ იაშვილი

რედაქტორი: ანა მენაღარიშვილი

## სარჩევი

ახალი საშუალო სკოლის მოდელი .....	4
ძირითადი ინფორმაცია მოდელის შესახებ.....	5
რატომ დადგა რეფორმის გატარების საჭიროება?.....	5
რეფორმის გატარების მთავარი მიზნები .....	6
მასწავლებლის ახალი როლი - ლერნდიზაინერი.....	7
რას აკეთებენ ლერნდიზაინერები სკოლაში?.....	8
მოდელის თეორიული ჩარჩო.....	10
მოდელის იმპლემენტაცია .....	11
მოდელის შეფასება.....	14
ძირითადი მიღწევები და გამოწვევები .....	16
მოდელის ძლიერი და სუსტი მხარეები: .....	17

## ახალი საშუალო სკოლის მოდელი

ნაშრომში აღწერილია ავსტრიაში გატარებული მასშტაბური სასკოლო რეფორმა - „ახალი საშუალო სკოლა(NMS),“ რომლის განხორციელებაც 2008 წელს დაიწყო და 2019 წელს სრულდება. რეფორმის გაცხადებული მიზანია სწავლების თანასწორობისა და სრულყოფის მიღწევა - სკოლები გადავიდნენ სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე და განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები, რაც განათლების მოქნილობასა და ხელმისაწვდომობაში აისახა. ასევე, რეფორმის მიზანია სკოლის, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის აღქმა ლიდერ მასწავლებლების-ლერნდიზაინერების დახმარებით. ლერნდიზაინერები არიან სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლები, რომლებიც დირექტორებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ როგორც სასწავლო პროცესში, ისე სკოლის მართვაში. სხვადასხვა კვლევების მიხედვით, რეფორმამ მოიტანა დადებითი ცვლილებები, ახალი სასწავლო კულტურის დანერგვისა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესების კუთხით; შეიქმნა თანაბარი პირობები და შემცირდა განსხვავება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას შორის. მოდელის ნაკლად მიიჩნევა მისი იმპლემენტაციის პროცესის სისუსტე და მასწავლებლის ახალი როლის ბუნდოვანება, რომელიც ჯერაც არ არის ფორმალიზებული. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს იგეგმება რეფორმირების მეორე ეტაპის დაწყება.

The study portrays the comprehensive school reform implemented in Austria - "New Middle School (NMS)", which began in 2008 and will be accomplished in 2019. The declared goal of the reform is to achieve equity and excellence of teaching - schools have shifted to constructivist principles of teaching and made structural changes that have reflected in the mobility and affordability of education. Also, the reform aims to perceive the school as an independent organisation with the help of leader teachers - Learndesigners. Learndesigners are teachers with special knowledge who, together with principals, actively participate in both the teaching and school managing. According to various studies, the reform has brought positive changes in terms of introducing a new curriculum and improving academic performance; Equal conditions were created and the gap between academic performance of students of different socio-economic status was reduced. The vulnerability of the model is said to be the weakness of its implementation process and the ambiguity of the new teacher role that has not yet been formalised. It is noteworthy that the second phase of the reform is planned to begin in 2021.

## ძირითადი ინფორმაცია მოდელის შესახებ

ავსტრიის განათლების, ხელოვნების და კულტურის სამინისტრომ 2007 წელს შექმნა ავსტრიული „ახალი საშუალო სკოლის“ მოდელი (NMS). ავსტრიის პარლამენტის ინიციატივით ამ მოდელის საპილოტე ვერსიის სკოლებში დანერგვა 2008 წელს დაიწყო.

თავდაპირველად საპილოტე რეფორმა განხორციელდა ავსტრიაში არსებულ 67 სკოლაში მე-5-8 კლასებში. მისი პრაქტიკაში წარმატებით მუშაობის შემდეგ კი 2012 წელს დაიწყო სრულმასშტაბიანი სასკოლო რეფორმის გატარება, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდა და 2018 წელს „ახალი საშუალო სკოლის“ მოდელი სრულად დაინერგა ავსტრიულ სკოლებში.

## რატომ დადგა რეფორმის გატარების საჭიროება?

რეფორმის გატარების საჭიროება დადგა მაშინ, როდესაც გაანალიზდა მშობელთა არჩევნის შესახებ არსებული მონაცემები. კერძოდ, დაწყებითი საფეხურის დასრულების შემდეგ (მე-4 კლასში), ბავშვის ნიშნებიდან გამომდინარე, მშობლებს უნდა აერჩიათ, თუ რა მიმართულებით გააგრძელებდა ბავშვი სწავლას. გამოიკვეთა, რომ პრობლემური იყო სასკოლო განათლების დაბალი ხელმისაწვდომობა და განათლების მოქნილობასთან დაკავშირებული სტრუქტურული ბარიერები. სხვადასხვა კვლევამ, რომლებიც 1980 წლიდან ტარდებოდა, აჩვენა, რომ სოციო-ეკონომიკური ფონი უარყოფით გავლენას ახდენდა განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე. ეს გავლენა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო დაწყებითი კლასების მოსწავლეების შემთხვევაში (Bruneforth et al., 2012). რეფორმამდელი ავსტრიული სკოლებისთვის დამახასიათებელი იყო ე.წ. „თრექინგი“ - მოსწავლეების დაყოფა სხვადასხვა ჯგუფებად მათი აკადემიური შესაძლებლობების მიხედვით, რაც კიდევ უფრო უწყობდა ხელს უთანასწორობის ზრდას.

უთანასწორობის პრობლემა თავს იჩენდა დაწყებითი საფეხურის ბოლოს (მეოთხე კლასში). პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ პირველი ოთხი კლასის განმავლობაში მოსწავლის მიერ მიღებული ნიშნები საბოლოოდ განაპირობებდა იმას, თუ რა მიმართულებით გააგრძელებდა ის სწავლას. როგორც არაერთმა კვლევამ აჩვენა, პირველი 4 წლის განმავლობაში ბავშვების აკადემიურ მოსწრებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა ოჯახების ზოგადი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა. შვილების აკადემიური მოსწრების მიხედვით მშობლებს უწევდათ აერჩიათ „დაბალი“ (იგულისხმება ხარისხი) საშუალო სკოლა თავიანთი ბავშვებისთვის.

ბავშვის დაბალი ნიშნების მიხედვით, მშობლებს ჰქონდათ ორი არჩევანი: მათ შვილებს გაუშვებდნენ სპეციალიზირებული პროფილის მეტონე სკოლაში (მაგალითად, მუსიკალური ან სპორტული), ან არასავალდებულო აკადემიურ სკოლაში(გიმნაზია), რომლის დასრულების შემდეგ მოსწავლეს სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების მიღების მიზნით აღარ შეეძლო.

## **რეფორმის გატარების მთავარი მიზნები**

რეფორმის გატარების მთავარ მიზანს წარმოადგენდა სასწავლო პროცესის თანასწორობისა და სრულყოფის ხელშეწყობა. პირველ რიგში, რეფორმის ფარგლებში, სკოლებს უარი უნდა ეთქვათ ე.წ. „თრექინგის“ პრინციპზე. გარდა ამისა, მათ უნდა წახეხალისებინათ ინოვაციური მიდგომები სწავლისა და სწავლების პროცესში, რაც გულისხმობდა სწავლების კონსტრუქტივისტულ პარადიგმაზე აგებას. კერძოდ, ყურადღება უნდა გამახვილებულიყო თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და უნარებზე, მოსწავლეებს უნდა ჰქონოდათ საკმარისი ავტონომია, რათა თავად აეგოთ საკუთარი ცოდნა, მიუხედავად მათი წარმომავლობისა თუ უნარებისა, ხოლო კლასში მუშაობის მთავარი მეთოდი ჯგუფური მუშაობა უნდა ყოფილიყო. ასევე, აქცენტი უნდა გაკეთებულიყო მედიისა და თანამედროვე საძიებო სისტემების ეფექტურად გამოყენებაზე სწავლებისას როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მხრიდან.

შესაბამისად, რეფორმის მთავარი მიზნები იყო:

- „თრექინგის“ პრინციპის გაუქმება;
- ყველა მოსწავლისთვის თანაბარი პირობების შექმნა;
- მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება;
- ჯგუფური სწავლების წახალისება;
- სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება;

ამრიგად, ცვლილებები განხორციელდა როგორც სისტემურ დონეზე, რაც სასკოლო განათლების მიღების თანასწორობასა და მოქნილობაში აისახა, ისე უშუალოდ საკლასო დონეზეც - შეიცვალა კურიკულუმი და სწავლების ბაზისური პრინციპები.

ავსტრიის მთავრობა ყოველ წელს 164-დან 250 მილიონ ევრომდე გამოყოფს, რათა წარმატებით განხორციელდეს რეფორმა.

იმისათვის, რომ საპილოტე პერიოდში სისტემა სწორად და ეფექტურად განვითარებულიყო, ავსტრიის განათლების სამინისტრომ დაიქირავა საკონსულტაციო ჯგუფი The NMS-Entwicklungsbegleitung (NMS-EB). საკონსულტაციო ჯგუფმა NMS-EB-მა შექმნა პროფესიული ქსელები, რომლებიც დაკომპლექტდა მასწავლებლებითა და განათლების სფეროში მომუშავე სხვადასხვა პროფესიონალით. მათ, ასევე, მასწავლებლებისთვის შექმნეს ახალი როლი, ახალი ფუნქცია, რომელსაც ეწოდება ლერნდისაინერი (Lerndesigner).

## მასწავლებლის ახალი როლი - ლერნდიზაინერი

სწორედ ლერნდიზაინერი არის ავსტრიის სასკოლო რეფორმის ქვაკუთხედი. ამ ახალი როლის შემსრულებლები, ფაქტობრივად, ლიდერი მასწავლებლები არიან, რომლებსაც აქვთ ისეთი სპეციფიკური მეთოდოლოგიური ცოდნა კურიკულუმის შედგენასა და სასწავლო განვითარებაში (instructional development), რომ ეს ცოდნა შესაბამისობაში მოდის რეფორმის მთავარ მიზნებთან - თანასწორი და სრულყოფილი სწავლების შესახებ. რეფორმის განხორციელებაში მთავარი როლი ლერნდიზაინერებს აკისრიათ - მათ უნდა უზრუნველყონ სკოლის სწორი ცვლილება და ამ ცვლილების შესაბამისობა რეფორმის მიზნებთან.

ლერნდიზაინერ შეიძლება გახდეს ნებისმიერი მასწავლებელი, რომელიც გამოთქვამს ამის სურვილს და რომელსაც სკოლა მხარს დაუჭერს. ამის შემდეგ ის ესწრება სხვადასხვა ეროვნული და რეგიონალური ქსელების შეხვედრებს, გადის კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებს (Lernatelliers) და უბრუნდება სკოლას, როგორც კვალიფიცირებული ლერნდიზაინერი.

სკოლაში ლერნდიზაინერის ფუნქციები სხვადასხვა შინაარსისაა, ვინაიდან ის აქტიურად მონაწილეობს როგორც სწავლების პროცესში, ისე სკოლის მართვაში. ძირითადად, მისი ფუნქციებია: რეფორმის მიზნების შესახებ მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ინფორმირება, ინსტრუქციული განვითარება, რეფორმის შესაბამისი ცვლილებების დანერგვა და მონიტორინგი, სკოლის მართვაში მონაწილეობის მიღება, კონსულტაციის გაწევა, გუნდურობის გაძლიერება, უკეთესი სასკოლო გარემოს შექმნაზე ზრუნვა, სწავლების მეთოდების დახვეწა, დამაკავშირებელი როლის შესრულება სისტემასა და სკოლას შორის და სასწავლო რესურსების შექმნა-გაზიარება.

ამ ტიპის მასწავლებლები, თავდაპირველად, გადამზადდებიან NMS-EB-ის მიერ, ესწრებიან რა მასწავლებელთა ახლადშექმნილი ქსელის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა რეგიონულ თუ ეროვნულ სემინარებსა და ტრენინგებს და გადიან კვალიფიკაციის მიმნიჭებელ შესაბამის პროგრამებს. საჭირო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის შეძენის შემდეგ, ლერნდიზაინერები აქტიურად ერთვებიან სკოლის მართვაში სკოლის დირექციასა და სასწავლო საგნების კოორდინატორებთან ერთად და ეხმარებიან სხვა მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში (რაც, მათ შორის, გულისხმობს ლერნდიზაინერობისკენ სვლას), ამის წყალობით კი მასწავლებელთა ქსელი ფართოვდება, ვითარდება, იქმნება ლერნდიზაინერ-ების კავშირები, თანამეგობრობები, სადაც უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებებს, გადიან პრაქტიკებს და ა.შ. რაც რეფორმირების პროცესს უფრო მოქნილს ხდის.

## რას აკეთებენ ლერნდიზაინერები სკოლაში?

ლერნდიზაინერი სკოლაში მრავალფეროვან ფუნქციებს ასრულებს და მონაწილეობას იღებს როგორც უშუალოდ სასწავლო პროცესში, ისე სკოლის მართვაში. ის სამინისტროს მიერ მიჩნეულია პირად, რომელიც დაეხმარება სკოლას NMS-ად გარდაქმნაში. კერძოდ, ის ეხმარება მასწავლებლებს კურიკულუმების შედგენაში, რომლებიც შესაბამისობაში იქნება NMS-ის ფარგლებში შედგენილ სწავლების ახალ, კონსტრუქტივისტულ პრინციპებთან. გარდა ამისა, აძლევს მასწავლებლებს რჩევებსა და უკუკავშირს, თუ როგორ შეიძლება გაკვეთილის უკეთ ჩატარება, რათა მოხდეს სწავლების სრულყოფა რეფორმის მიზნების შესაბამისად. ლერნდიზაინერი-ი, ასევე, სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად, მონაწილეობას იღებს სკოლის მართვაში, რათა უზრუნველყოს სკოლების გარდაქმნა არა მხოლოდ საკლასო დონეზე, უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში, არამედ მთლიანად სკოლის დონეზეც.

2010 წელს BIFIE-მა ჩაატარა კვლევა, სადაც მე-2 და მე-3 თაობის ლერნდიზაინერებს სთხოვეს, დაეწერათ პასუხი კითხვაზე: რას აკეთებს ლერნდიზაინერი სკოლაში? კვლევაში მონაწილეობა მიიღო 324-მა ლერნდიზაინერმა. მიღებული პასუხები დაჯგუფდა და გამოვლინდა მათი როლი როგორც ლიდერი მასწავლებლებისა, რომლებიც სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად იყოფენ/იზიარებენ ლიდერობას, და ასევე - როგორც ცვლილების აგენტებისა. კვლევის თანახმად, სკოლებში ლერნდიზაინერების საქმიანობაში შედის:

- ინფორმირება;
- ინსტრუქციული განვითარება;
- ცვლილებების დანერგვა;
- საერთო/საზიარო ლიდერობაში მონაწილეობის მიღება;
- კოლეგებისთვის რჩევების მიცემა, კონსულტაციის გაწევა;
- გუნდურობის (Team building) გაძლიერება;
- სისტემასა და სკოლას შორის დამაკავშირებლის როლის შესრულება;
- სასწავლო რესურსების შექმნა;

როგორც კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, ლერნდიზაინერი ამზადებს ნიადაგს, რომელზეც აღმოცენდება ახალი სასწავლო კულტურის თესლი.” ლერნდიზაინერები აღნიშნავდნენ, რომ მათ ხშირად აკითხავთ სკოლის სხვადასხვა თანამშრომელი სწავლების შინაარსთან დაკავშირებული შეკითხვებით და პრობლემების გადასაჭრელად.

ლერნდიზაინერებისთვის შექმნილია სპეციალური 2-წლიანი საკვალიფიკაციო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ისინი იძენენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას, რაც შემდგომში განაპირობებს მათ ეფექტურობას როგორც მასწავლებლობაში, ისე სკოლისა და ქსელის მართვაში. ამ პროგრამის გავლა შეუძლიათ მხოლოდ მოქმედ, პრაქტიკოს მასწავლებლებს. პროგრამა ორიენტირებულია „ახალი საშუალო სკოლის” მოდელის კურიკულუმზე; გამოყოფილია განვითარების 6 ძირითადი მიმართულება, რომელიც პროგრამის



ფარგლებში აქტიურად ისწავლება და რომლებიც უნდა გააჩნდეთ ლერნდიზაინერებს:

- ორიენტირება სწავლებაზე;
- მრავალფეროვნება;
- კომპეტენციების ორიენტაცია;

უკუკავშირის შექმნა კურიკულუმების შედგენისას;

- დიფერენცირებული ინსტრუქციები;
- შეფასება;

2-წლიანი სასწავლო კურსი შერეული სახისაა და შედგება როგორც ონლაინ, ასევე თვითგანათლებასა და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდებისგან. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განვითარებასა და დახვეწაზე ზრუნავს ავსტრიის განათლების სამინისტროს მასწავლებელთა განათლებისა და განვითარების კომიტეტი, რომელიც პროგრამის კურიკულუმის შედგენისას და გადასინჯვისას ეყრდნობა ინსტრუქტორის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებულ კვლევებს. ეს კვლევები კი, თავის მხრივ, ტარდება იმ სკოლებში, სადაც უკვე დაინერგა „ახალი სკოლის მოდელი“.

თუმცა, პრობლემა ისაა, რომ ჯერჯერობით, ლერნდიზაინერებისთვის ცალკე სასკოლო შტატი და სახელფასო სტრუქტურა გამოყოფილი არაა; ეს ნიშნავს, რომ როლი არსებობს, მაგრამ ფუნქცია - არა. ამიტომ ამ ტიპის მასწავლებლები თვითონ ქმნიან თავიანთ როლსა და ფუნქციას სკოლებში, რა თქმა უნდა, სკოლასთან შეთანხმებით. შესაბამისად, ლერნდიზაინერის წარმატება და ეფექტურობა ამა თუ იმ სკოლაში ხშირად დამოკიდებულია ამ სკოლის სასკოლო კულტურასა და ლიდერობაზე.

## მოდელის თეორიული ჩარჩო

„ახალი საშუალო სკოლის“ მოდელი, ისევე როგორც ბევრი სხვა თანამედროვე სასკოლო მოდელი, ეყრდნობა კონსტრუქტივიზმს. ამ მოდელში ჩანს როგორც სოციალური, ისე ინდივიდუალური კონსტრუქტივიზმის ელემენტები. როგორც ჰელსინკის უნივერსიტეტის მკვლევარი მარტინ კრამერი აღნიშნავს, ავსტრიულ სასკოლო რეფორმაში ვხვდებით როგორც თვითდეტერმინირების თეორიის ნიშნებს, რომელიც ინდივიდუალური კონსტრუქტივიზმის მაგალითს წარმოადგენს, ისე კულტურულ-ისტორიული თეორიის ნიშნებს, რომელიც სოციალურ კონსტრუქტივიზმს მიეკუთვნება.

მაგალითად, თვითდეტერმინირების თეორიის თანახმად, არსებობს 3 ძირითადი შინაგანი მოთხოვნილება: კომპეტენტურობა, დაკავშირებულობა, ავტონომიურობა. ამ სამ მოთხოვნილებაზე დამოკიდებული ადამიანის შემდგომი პიროვნული ზრდა-განვითარება. სწორედ ამ სამი მოთხოვნილების გაღვივებას და დაკმაყოფილებას ემსახურება ის პრინციპები, რომლებიც „ახალი საშუალო სკოლის“ მოდელის კურიკულუმშია გაწერილი: „მოსწავლეების პოტენციალი და ნიჭი არის უმთავრესი, შესაბამისად, მათი შესაძლებლობები წარმოჩენილი უნდა იყოს საუკეთესო გზით. ერთი მხრივ, მათ უნდა მიეცეთ საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რომ სასწავლო მასალა აითვისონ დამოუკიდებლად, საკუთარი სასწავლო ტემპის შესაბამისად, თუმცა, მეორე მხრივ, ადრეული ასაკიდანვე მასწავლებლებმა უნდა აგრძობინონ მოსწავლეებს მხარდაჭერა და მზაობა მათი პოტენციალის განსავითარებლად. კლასში წამყვანი მეთოდი უნდა იყოს ჯგუფური მუშაობა სხვადასხვა თემაზე, რაც შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ცოდნის ჩამოყალიბებაში.“

ასე რომ, კურიკულუმით გათვალისწინებულია თვითდეტერმინირების თეორიის სამივე მახასიათებელი: მოსწავლეებს ეძლევათ საკმარისი ავტონომია, გარდა ამისა, მათ აქვთ შეგრძნება, რომ ისინი დაკავშირებულები არიან სხვა ბავშვებთან, ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს მათში კომპეტენტურობის განცდის გაჩენას.

დაცულია კონსტრუქტივიზმის ორი მთავარი პრინციპიც, რომ მოსწავლეები აქტიურნი არიან საკუთარი ცოდნის აგებაში და რომ სოციალური ინტერაქციები მნიშვნელოვანია ცოდნის შეძენისთვის.

## მოდელის იმპლემენტაცია

2012 წლის სექტემბრისთვის რეფორმის პილოტი დასრულდა, შესაბამისად დასრულდა NMS-EB-ის კონსულტირებაც. იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ დადებითი ცვლილებები და ხელი შეეწყოს სასწავლო გარემოს უფრო მეტად ოპტიმიზაციისთვის, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის, სამინისტრომ შექმნა სკოლების სწავლების ეროვნული ცენტრი (The National Centre for Learning Schools – CLS). აღსანიშნავია, რომ CLS ძირითადად დაკომპლექტდა NMS-EB-ის გუნდის წევრებისგან. CLS-ის ორი მთავარი ამოცანა იყო, ერთი მხრივ, შეენარჩუნებინა და გაეუმჯობესებინა მასწავლებლების ქსელი და, მეორე მხრივ, მხარი დაეჭირა ლერნდიზაინერებისთვის სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების თუ სიმპოზიუმების მეშვეობით.

პირველ რიგში, CLS-მა უნდა გააძლიეროს და განავითაროს მასწავლებლის ლიდერული უნარები, რომლებიც აუცილებელია სისტემის ცვლილებისა და განვითარების ძირითადი სტრატეგიისთვის.

CLS -ის ძირითადი მიზნებია:

ხელი შეუწყოს და გააძლიეროს სასკოლო ქსელები და საზოგადოება;

ცვლილებების აგენტებისა (ლერნდიზაინერი) და პროფესიონალების გაძლიერება სიმპოზიუმების, ვირტუალური თუ პირდაპირი ქსელებისა და პროფესიონალური გაერთიანებების გზით;

არსებული კვლევის შედეგების ინტეგრირება NMS გარემოში, რაც, თავის მხრივ, დახვეწს სტრატეგიას, ინსტრუმენტებს, რესურსებსა და პროცესებს, ეს კი ხელს შეუწყობს ხარისხის ამაღლებას.

მასწავლებელთა განათლებაში ცვლილებების პროცესის ხელშეწყობა NMS- ის მიზნების მისაღწევად;

სისტემის მასშტაბით სინერჯიის პოტენციალის გამოყენება;

მაშინ, როდესაც NMS-EB ინიცირებას და იმპლემენტაციას უწევდა პროფესიული ქსელების და საზოგადოებების ჩამოყალიბებას სისტემის ყველა შესაბამის დარგში, მათ შორის, ადგილობრივი სასკოლო ავტორიტეტების დონეზე, პარალელურ პროგრამებში მისი ძირითადი ფოკუსი მიმართული იყო ლერნდიზაინერის პრინციპებზე.

ქსელებს და პროფესიულ ასოციაციებს, რომელშიც ლერნდიზაინერების ქსელები მთავარ ფუნქციას ასრულებს, CLS-ის პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი აქვთ სისტემური გარდაქმნის პროცესში. როგორც DuFour (2002) მიიჩნევს, სკოლის ლიდერთა უმთავრესი ამოცანაა, ხელი შეუწყოს PLC-ის (Professional Learning Community) სტრუქტურის გაძლიერებას. მოსწავლეების შედეგებზე ფოკუსირება, შეიძლება, მოითხოვდეს მასწავლებლების უნარების განვითარებას ან ახალი უნარების შეძენას (Guerriero, 2014; Corney, 2009).

პროფესიულ ქსელებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ლერნდიზაინერების ქსელებს. ქსელები შეგვიძლია გავიგოთ, როგორც პრაქტიკოსების საზოგადოება, რომლის წევრებიც ერთმანეთთან პროფესიული ნიშნით არიან დაკავშირებულები, მაგრამ მათი სურვილი და მოტივაცია, ერთმანეთისაგან რაიმე ისწავლონ, განსხვავებულია.

ლერნდიზაინერთა ქსელები ასევე არსებობს ონლაინ სივრცეშიც, სადაც ლერნდიზაინერების მცირე ნაწილია აქტიური (რუბრიკების მომზადება, დიზაინი, გამოწვევებთან გამკლავება), ხოლო უმრავლესობა პასიურად ადევნებს თვალს ონლაინ სივრცეში მიმდინარე მოვლენებს, ძირითადად, მკითხველის როლში. PLC (Professional Learning Community), როგორც სკოლის განვითარების სტრატეგია, სასკოლო დონეზე ინიცირებულია ლერნდიზაინერების მიერ, როგორც მათი კურსის ერთ-ერთი მოთხოვნა.

მასწავლებლების, როგორც ლიდერების განვითარების პროცესი, მოიცავს სამ ფაზას: ინდივიდუალური განვითარება, თანამშრომლობა ან ჯგუფური განვითარება და ორგანიზაციული განვითარება (Ibidem, p. 288). უფრო მეტიც, არაპროგნოზირებადი და დაუგეგმავი ყოველდღიური სასკოლო სწავლება პროგრამის ფარგლებში დანახულია, როგორც ლერნდიზაინერების სწავლების უნარების გაძლიერების საშუალება (Saevi & Elifsen, 2008 ) იმ უამრავ სიტუაციაში, რასაც, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს საკლასო ოთახში.

აღსანიშნავია, რომ განხორციელება რეფორმის ყველაზე პრობლემატური ნაწილი აღმოჩნდა, რადგან მკაფიოდ არ ყოფილა განსაზღვრული ლერნდიზაინერის ფუნქციები და მისი მიმართება სკოლის ხელმძღვანელობასთან. გარდა ამისა, სკოლებს შეუძლიათ უარი თქვან ამგვარი თანამდებობისა და როლის მქონე მასწავლებლის მათ სკოლაში მუშაობაზე, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ამ სკოლაში „ახალი საშუალო სკოლის“ მოდელის მიზნების დანერგვას. სწორედ ამიტომ, ჯერჯერობით მაინც, რეფორმის წარმატება დიდწილად თავად სკოლებზე დამოკიდებული. შესაბამისად, OECD-ის ანგარიშში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი განხორციელების პროცესის სისუსტეა.

თუმცა, 2021 წელს იგეგმება „ახალი სკოლის მოდელის“ რეფორმის განახლება, რომლის ფარგლებშიც, სავარაუდოდ, გათვალისწინებული იქნება OECD-ის რეკომენდაციები მოდელის იმპლემენტაციასთან არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით.

რეფორმა ავსტრიის ცხრავე რეგიონის სკოლებში ეტაპობრივად განხორციელდა, როგორც ეს მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები:

	<b>G1</b>	<b>G2</b>	<b>G3</b>	<b>G4</b>	<b>G5</b>	<b>G6</b>
	2008/09	2009/10	2010/11	2011/12	2012/13	2013/14
<b>Vienna</b>	-	22	2	-	47	49
<b>Lower Austria</b>	-	45	3	28	72	49
<b>Burgenland</b>	9	19	-	8	4	1
<b>Styria</b>	30	5	2	16	55	60
<b>Carinthia</b>	4	19	13	9	6	4
<b>Upper Austria</b>	1	21	26	29	49	52
<b>Salzburg</b>	-	10	5	-	13	15
<b>Tirol</b>	-	8	25	24	17	24
<b>Vorarlberg</b>	23	28	-	-	1	-
<b>Total</b>	<b>67</b>	<b>177</b>	<b>76</b>	<b>114</b>	<b>264</b>	<b>254</b>

The NMS Generations by *Bundesland*

## მოდელის შეფასება

წინასწარი შედეგების თანახმად, NMS-მა მართლაც იქონია დადებითი გავლენა მოსწავლეების მიღწევებში განსხვავებების შემცირებაზე, მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა.

NMS საფუძვლიანად შეაფასა (კვლევის ანგარიში 472 გვერდს მოიცავს) BIFIE-მ - ტესტირებისა და შეფასების ორგანიზაციამ, რომელიც ავსტრიაში სტანდარტების განვითარებასა და ტესტირებაზე პასუხისმგებელია. შეფასება წარედგინა ავსტრიის განათლების სამინისტროს 2015 წელს. კვლევა ჩატარდა NMS-ის პირველი (2008) და მეორე (2009) თაობის მოსწავლეებზე.

გამოიკვეთა სამი ძირითადი მიმართულება, სადაც აშკარა იყო ცვლილებები:

სწავლისა და სწავლების ახალი კულტურა;

გაუმჯობესებული აკადემიური შედეგები სხვადასხვა საგნებში;

თანაბარი პირობების შექმნა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც იყვნენ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან;

ლონგიტუდური კვლევის ფარგლებში „ახალი საშუალო სკოლის“ 446 კლასი შეფასდა. კვლევის მონაწილეებს თავდაპირველად აფასებდნენ მაშინ, როცა ისინი იყვნენ პირველ კლასში, ხოლო შემდეგ მაშინ, როცა ამთავრებდნენ NMS-ს (მე-8 კლასი) და ადარებდნენ იმავე ასაკის Hauptschule-ს (საშუალო სკოლის ძველი ფორმა) მოსწავლეებს.

შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა:

სტანდარტიზებული ტესტების შედეგები მათემატიკაში, ინგლისურსა და გერმანულ ენებში;

თვისებრივი კვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა სასკოლო გარემოსა და საკლასო ატმოსფეროს (30 სკოლის 90 კლასი NMS-დან, 30 სკოლის 89 კლასი Hauptschule-დან).

მონაცემები ავსტრიის განათლების სამინისტროს დოკუმენტაციიდან: მოსწავლეების გზა NMS-ის დასრულების შემდეგ;

გარდა ამისა, შეფასდა ახალი პედაგოგიური კონცეპტის გავლენაც: „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში დანერგილმა კონცეფციამ გააუმჯობესა სასკოლო გარემო და სასწავლო კულტურა. NMS-ის დასრულების შემდეგ უფრო მეტი მოსწავლე (5%-იანი ზრდა) აგრძელებდა სწავლას აკადემიური მიმართულებით. თუმცა, შედეგები განსხვავდება სკოლების მიხედვით, რაც დამოკიდებულია ახალი მოდელის განხორციელების ხარისხზე.

მიუხედავად იმისა, რომ ლერნდიზაინერის ფუნქცია, ჯერჯერობით, იურიდიულად განწესებული არ არის, მათი საქმიანობის მონიტორინგი მაინც ხდება. შესაძლოა,

ლერნდიზაინერები არ იყვნენ ანგარიშგაღებულნი უშუალოდ თავიანთი სკოლის ადმინისტრაციის წინაშე, მაგრამ მათ საქმიანობას მონიტორინგს უწევს განათლების სამინისტრო, კერძოდ მინისტრის მოადგილე ჰელმუტ ბახმანი, რომელიც „ახალი საშუალო სკოლის“ პროექტის კოორდინატორია, ასევე, ლერნდიზაინერთა ქსელებს აკონტროლებს CLS.

დადებითი ცვლილებების შენარჩუნების მიზნით, სამინისტრომ შექმნა სასწავლო სკოლების ეროვნული ცენტრი (“CLS”). პირველ რიგში, CLS-ის მიზანია მასწავლებლების ლიდერული უნარების გაძლიერება, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგია სისტემის ცვლილებისა და განვითარებისთვის.

CLS უზრუნველყოფს სისტემური დონის სტრატეგიებს, რათა უზრუნველყოს, რომ ცვლილებები შესაბამისობაში იყოს ავსტრიაში არსებულ განათლების რეფორმასთან (Westfall-Greiter & Hofbauer, 2012). სამ წინა რეფორმას შორის სინერგია უზრუნველყოფს იმას, რომ აქტივობები დაკავშირებული იყოს ჩართულობასთან, მრავალფეროვნებასთან და თანასწორობასთან ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მულტიკულტურალიზმი, გენდერი და სპეციალური საჭიროებები.

მოდელის საპილოტე ვერსია შეაფასა OECD-მ, ასევე მოდელის დანერგვის შედეგებს განათლების სამინისტროს დაკვეთით, იკვლევს ინსტრუქტორების უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრი. დამატებით, საპილოტე ვერსიისას, BIFIE ყოველ წელს ატარებდა თვისებრივ კვლევებს, რომელიც გულისხმობდა ლერნდიზაინერებისა და სკოლის ხელმძღვანელობის დეტალურ გამოკითხვას. გარდა ამისა, ლერნდიზაინერების კვალიფიკაციის პროგრამა შეფასებულ და მხარდაჭერილ იქნა მასწავლებელთა განათლების და განვითარების საბჭოს მიერ.

თუმცა, ვინაიდან მოდელი სრულად ახალი დანერგულია, ჯერჯერობით არის გარკვეული პრობლემები და ბუნდოვანებები მის განხორციელებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ლერნდიზაინერ, როგორც როლი, უკვე არსებობს სკოლებში, მაგრამ ეს როლი არ არის ფორმალიზებული.

## ძირითადი მიღწევები და გამოწვევები

4 სკოლაში ორი თაობის ლერნდობინებთან ინტერვიუების შემდეგ (Nagy, 2014, cited in Altrichter et al., 2015, p. 414) გამოვლინდა, რომ ორივე თაობა პოზიტიურად აფასებს საკვალიფიკაციო პროგრამას და იმ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა სასწავლო და სწავლების კულტურაში. თუმცა, ახალი როლით კმაყოფილების ხარისხი განსხვავებულად შეფასდა: ლერნდობინერი B უკეთ მიიღეს კოლეგებმა, ვიდრე ლერნდობინერი A, რომლის კოლეგები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მიმდინარე რეფორმაზე. ისინი არ გამოირჩეოდნენ ღიაობითა და გახსნილობით, არ იყვნენ მომართული თანამშრომლობისკენ, რამაც ხელი შეუშალა ლერნდობინერ A-ს, რომ უფრო მეტი გავლენა ჰქონოდა სკოლაზე.

NMS- ის შესახებ არსებული მონაცემებიდან მიღებული ინფორმაცია შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

NMS- ის განვითარება და ხარისხი დამოკიდებულია ინდივიდუალურ სკოლაზე (Eder et al., 2015, Geppert et al., 2015): NMS სკოლები გამოირჩევიან მოსწავლეების მზარდი ჩართულობით და მათი პოზიტიური დამოკიდებულებით სკოლის მიმართ; სასკოლო კლიმატი უკეთესია NMS სკოლებში სხვა Hauptschule-ებთან შედარებით;

NMS- ის განვითარება და ხარისხი დამოკიდებულია მასწავლებლებზე: სკოლებში, სადაც NMS პრაქტიკა მიკრო დონეზეა დამკვიდრებული, უკეთ აღწევენ NMS რეფორმის მიზნებს (Eder et al., 2015); მოსწავლეებს არჩევანის მეტი საშუალება აქვთ (Statistik Austria, 2015).

NMS სკოლებში სოციალური არქიტექტურა შეიცვალა: ლერნდობინერის როლი დაფუძნდა (Svecnik & Petrovic, 2013) და ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა გუნდურმა მუშაობამ და გუნდის სტრუქტურამ.

რაც შეეხება გამოწვევებს, ლერნდობინერის ეფექტი მეტწილად დამოკიდებულია სკოლებში არსებულ ლიდერობის სტილსა და იზოლირებული სწავლების კულტურაზე, რომელიც ხელს უშლის ზრდასა და პროფესიონალიზმს. როგორც წესი, ავსტრიის სკოლებისთვის იერარქიული სტრუქტურებია დამახასიათებელი, განსაკუთრებით - ავტორიტეტულ-პარიტეტული სტილი (Lortie, 2002). ამ კულტურაში მასწავლებლის, როგორც ლერნდობინერის როლი წარმოადგენდა მასობრივ სისტემურ გარღვევას და ის დღესაც აგრძელებს ახალ თაობებში გამლიბიანებლის როლის შესრულებას. მიუხედავად ლერნდობინერის ლეგიტიმურად ცნობისა, როლის მიღება და როლის შექმნის პროცესი არის ის ორი აუცილებელი კომპონენტი, რომლებიც დღესაც ცვლის პროფესიულსა და სასკოლო კულტურებს.

ზოგადად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ NMS რეფორმა სწორ გზაზე დგას, მაგრამ არ არსებობს საკმარისი კვლევა მასწავლებლების ლიდერობის, როგორც სისტემის განვითარების სტრატეგიის კავშირისა სკოლის ეფექტურობასთან.



## **მოდელის ძლიერი და სუსტი მხარეები:**

### **ძლიერი მხარეები:**

სასკოლო განათლების სისტემის მოქნილობა;

თანასწორობის პრინციპის გაუმჯობესება;

სწავლების პროცესის სრულყოფა;

მასწავლებლისთვის პროფესიული ზრდის მეტი შესაძლებლობების მიცემა;

სკოლაში სუბორდინაციის შემცირება;

მეტი ავტონომია სკოლებში;

სასკოლო კლიმატის გაუმჯობესება.

### **სუსტი მხარეები:**

განხორციელების პროცესის არაეფექტურობა, რამაც გამოიწვია ის, რომ მოდელის დანერგვა სკოლების მიხედვით ვარირებს.

ლერნდიზაინერის ოფიციალური შტატის არარსებობა.

არ არსებობს საკმარისი რაოდენობის კვლევა, რომელიც შეაფასებს მასწავლებლის ახალი როლის გავლენას სკოლაზე.

რეფორმის იდეების მიმართ საზოგადოებრივი განწყობების არარსებობა.

